



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 4  
05/04/2017

4-06-4-201704051724



**დადგენილება №4**

2017 წლის 5 აპრილი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის  
№27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ა დ გ ე ნ ს :**

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 01/01/2017/ წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016280) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **3 671 210 ლარით:**

ა) გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **3 670 000 ლარით**

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **3 670 000 ლარი**. მათ შორის:

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **3 670 000 ლარი**;

ბ) გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები 1 210 ლარით;

კერძოდ:

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან - 1 210 ლარით;

შემცირდეს:

გ) სოციალური ღონისძიებები, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი 06 02 14 – 2.7.2.1.) – 950 ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს:

დ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.8.) – 375 523 ლარით;

ე) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.2.) – 433 212 ლარით;

ვ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.5.) – 2 861 265 ლარით;

ზ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალგების ხელშეწყობა, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 02 02 – 2.2.8.3.) – 1 210 ლარით;

თ) ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 06 01 01 – 2.5.) – 950 ლარით;


**სულ გაიზარდოს 3 671 210 ლარით**

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო